

კავკასიის უნივერსიტეტი

ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი

2019

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები

ბიბლიოთეკა მუშაობს:

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: **09:00 სთ-დან – 20:00 სთ-მდე**

შაბათს: **09:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე.**

ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება

ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ:

- უნივერსიტეტის სტუდენტებს;
- უნივერსიტეტის პერსონალს;
- სხვა პირებს, უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

ბიბლიოთეკით მოსარგებლე ვალდებულია

- წიგნის გამოყენების შემდეგ თვითნებურად არ დადოს წიგნი თაროზე;
- წიგნი უნდა მიუბრუნოთ ბიბლიოთეკარს;

ბიბლიოთეკაში სასტიკად აკრძალულია

- ხმამაღლა საუბარი, ხმაური;
- საკვების ან სასმელის (გარდა წყლისა) ბიბლიოთეკაში შეტანა;
- ბიბლიოთეკარის დაუკითხავად წიგნის ბიბლიოთეკიდან გატანა;
- მობილური ტელეფონის ხმამაღლა გამოყენება;
- წიგნის ან სასწავლო მასალის დაზიანება (დაფხაჭნა, ფურცლების ამოგლეჯა და სხვა).

ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანა და დაბრუნება

- წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში ან გააკეთოს წიგნიდან სასურველი ნაწილის ქსერო ასლი.
- სტუდენტს შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლარის სახით.

ბიბლიოთეკიდან წიგნები გაიცემა შემდეგი ვადით

- სახელმძღვანელო – არაუმეტეს 1 სემესტრი;
- მხატვრული ლიტერატურა – არაუმეტეს 1 თვე;
- სხვა კატეგორიის წიგნი – არაუმეტეს 1 თვე;
- მკითხველი ვალდებულია წიგნი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას. თუ მკითხველს წიგნი კვლავაც სჭირდება, მას შეუძლია ის ხელახლა გაიტანოს (ისევ იმავე ვადით), იმ შემთხვევაში, თუკი წიგნზე არ შემოსულა სხვა განაცხადი.

- თუ წიგნის დაბრუნება ბიბლიოთეკაში არ მოხდა საჭირო დროს, აუცილებლად უნდა შეატყობინოთ ბიბლიოთეკას დროულად დაუბრუნებლობის მიზეზი. მიზეზის არასაკატიოდ ჩათვლის შემთხვევაში წიგნის გამტანი ვალდებულია დააბრუნოს წიგნი მოთხოვნიდან ორი დღის ვადაში.
- ბიბლიოთეკარს შეუძლია მოითხოვოს წიგნის ვადაზე ადრე დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია წიგნი დააბრუნოს შეტყობინებიდან ორი დღის განმავლობაში.

მასალის დაკარგვა/დაზიანება

- წიგნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, წიგნის გამტანი ვალდებულია სალექციო კურსის დასრულებისთანავე არაუგვიანეს დასკვნითი გამოცდის თარიღისა, ჩაანაცვლოს დაკარგული/დაზიანებული მასალა იმავე ღირებულების და შინაარსის გამოცემით, ხოლო ამის შეუძლებლობის შემთხვევაში, ანაზღაუროს სხვა თემატურად მსგავსი სახის ლიტერატურის ჩაანაცვლებით ან/და შესაბამის სკოლასთან, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან და სასწავლო მონიტორინგის დეპარტამენტთან შეთანხმებით დაკარგული/დაზიანებული მასალის ღირებულებით.
- წიგნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, თუ წიგნის გამტანი არ შეასრულებს ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებას, ბიბლიოთეკა არ გასცემს შესაბამის ცნობას, რომლის გარეშეც სტუდენტი ვერ დარეგისტრირდება სასწავლო კურსებზე, ხოლო კურსდამთავრებული ვერ მიიღებს დიპლომს;
- წიგნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, თუ აკადემიური, ადმინისტრაციული ან/და მოწვეული პერსონალი არ შეასრულებს ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებას, ფინანსური დეპარტამენტი, ბიბლიოთეკასთან შეთანხმებით, არ გასცემს კუთვნილ სახელფასო ანაზღაურებას;

წიგნის გატანის უფლების აკრძალვა

- აღნიშნული წესებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ბიბლიოთეკა უფლებამოსილია მკითხველს დაუწესოს შემდეგი ძირითადი სანქციები:
 - ზეპირი შენიშვნა
 - წერილობითი გაფრთხილება
 - ბიბლიოთეკიდან ნებისმიერი მასალის გატანის უფლების შეზღუდვა 1 სემესტრის განმავლობაში.
 - წიგნის ან სასწავლო მასალების დაზიანების შემთხვევაში, წიგნის ღირებულების დაფარვის ვალდებულება მოთხოვნიდან 5 დღის ვადაში.
3. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების დარღვევისათვის, რაც იწვევს საბიბლიოთეკო ფონდების ან/და ქონების დაზიანებას, ბიბლიოთეკის დირექტორის მიმართვით, საკითხს განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისია და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ხოლო თუ ქმედება შეიცავს ადმინისტრაციული გადაცდომის ან/და დანაშაულის ნიშნებს, საქმე გადაეცემა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.